# მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნოემბერი (ხეშვანი) 1-15
№21 (355)
(5772)
2011

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה


## ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:


ისრაელის ქნესეთის დეპუტატები იბრძვიან 18 ქართველი ებრაელის წერილზე ხელმომწერთა ხსოვნა შთამომავლობას შემოუნახონ.

ᲰᲝᲑᲝᲗᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲰᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲘᲗ ᲥᲜᲔᲡᲔᲗᲘᲡ ᲰᲔᲡᲢᲐᲕᲘᲐᲡᲘᲐ? ᲒᲕ. 2

ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ. 3

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲕ. 4

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ ᲒᲐᲑᲘ ᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲕ. 5



ᲛᲐᲙᲣ ᲨᲐᲒᲐᲚᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲒᲕ. 6

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲐᲑᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲯᲕᲘᲠᲐᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲔᲚ ᲚᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲕ. 7

ᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲣᲚ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ? ᲒᲕ. 8

# 18 ქართველი ებრაელის ხსოვნის უკვდავსაყოფად

2 ნოემბერს ისრაელის ქნესეთში საქართველოდან ასული რეპატრიანტების პატივსაცემად გაიმართა ალიისა და აბსორბციის კომისიის საზეიმო სხდომა. ამ სხდომაზე დაისვა 18 ქართველი ებრაელის ხსოვნის უკვდავყოფის საკითხი. რომლებმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში „რკინის ფარდის“ გარღვევა სცადეს. საქართველოდან და ყოფილი სსრკ-ის სხვა ქვეყნებიდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულმა დეპუტატებმა დააყენეს საკითხი, რომ ეს ეპიზოდი საბჭოელი ებრაელების ცხოვრებიდან სასკოლო სახელმძღვანელოებში იძნას შეტანილი.

საუბარია ერთ ნიშანდობლივ მოვლენაზე, რომელმაც გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის ებრაელების ნაციონალური მოძრაობის ფორმირებაზე: 1969 წლის აგვისტოში თვრამეტმა რელიგიურმა ქართველმა ებრაელმა შეადგინა წერილი, რომლის ადრესატი იყო გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, ისრაელის მთავრობის მეთაური გოლდა მეირი და გაეროში ისრაელის ელჩი იოსებ ტეკოა. წერილის ავტორები წერდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ისრაელში წასვლის შესაძლებლობას არ აძლევს, მაგრამ ისინი მზად არიან მიზანს ყველანაირი ხერხების დახმარებით მიაღწიონ. 1969 წლის სექტემბერში წერილის ტექსტი საიდუმლოდ გადასცეს რუსეთში ჰოლანდიის საელჩოს თანამშრომელს, რის შემდეგაც დასავლეთში ყველასთვის ცნობილი გახდა. გაეროს 18 ქართველი ებრაელის წერილი გაავრცელა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, ხოლო გოლდა მეირმა წერილი ქნესეთის ტრიბუნიდან წაიკითხა. ქართველ ებრაელთა ეს წერილი „თვითმფრინავის საქმესთან“ ერთად, გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი მოვლენა საბჭოთა ებრაელების ბრძოლისა ისრაელში რეპატრიაციის უფლების მოსაპოვებლად. შედეგად, 70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირიდან მასიური ალიის პირველი ტალღა წამოვიდა. სწორედ მაშინ იმ 18-მა ქართველმა ებრაელმა, რომელმაც ამ ისტორიულ დოკუმენტს მოაწერა ხელი, ისრაელში წასვლის ნებართვა მიიღო.

სხდომაზე გამოსულმა დეპუტატმა აბრაამ მიხაელმა („შასი“) აღნიშნა, რომ განათლების სამინისტრო მას დიდი ხნის წინ დაპირდა ამ ეპიზოდის ისტორიის სასკოლო პროგრამაში შეტანას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. თავის მხრივ, ალიისა და აბსორბციის კომიტეტის თავმჯდომარემ დანი დანონმა („ლიკუდი“) განაცხადა, რომ შეეცდება დაეხმაროს აბრაამ მიხაელს, ნინო აბესაძესა და სხვა დეპუტატებს ამ საკითხის მოგვარებაში.

ქნესეთის წევრმა ნინო აბესაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღეს ქართული თემის წევრები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ, „მაგრამ მათი წარმომადგენლობა ქნესეთში ორჯერ მეტია“. კომისიის სხდომაზე გამოვიდა დავიდ აზიზოვიც — თბილისის დიდი სინაგოგის ხახამი. მან ისაუბრა თბილისში ებრაული თემის ცხოვრებისა და ებრაული საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ. სხდომაზე მყოფმა დეპუტატებმა ასევე განიხილეს ქართველი ებრაელი სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფის საკითხი.

## ბრიფინგი ისრაელის საელჩოში

3 ნოემბერს ისრაელის საელჩოში გაიმართა ბრიფინგი. ბრიფინგის თემა ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის „მაშავის“ მიერ ორგანიზებული კურსები გახლდათ. ისრაელში 4 ქართველი სპეციალისტი გაემგზავრა. ორი მათგანი სოფლის მეურნეობის კურსებს გაივლის, დანარჩენები კი ცოდნას სამედიცინო დარგში აიმაღლებენ. მონაწილეებს ისრაელის ელჩმა იცხაკ გერბერგმა ვიზები გადასცა.

იცხაკ გერბერგი: დიდი სიამოვნებით ვულოცავ ქართველ პროფესიონალებს, რომლებიც წყლის მენეჯმენტისა და სამედიცინო კურსებზე დასასწრებად ისრაელში გაემგზავრებიან. მოგეხსენებათ, ისრაელი სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის დარგში მაღალგანვითარებული ქვეყანაა და მოხარული ვარ, რომ ქართველ მონაწილეებს ისრაელის გამოცდილების უკეთ გაცნობის საშუალება მიეცემათ, მით უფრო, რომ ეს ორი სფერო დღესდღეობით საქართველოს პრიორიტეტებად მიიჩნევა. ზემოხსენებული კურსები მხოლოდ ორია იმ უამრავთაგან, რომლებიც ისრაელში ტარდება. საერთაშორისო განვითარების სააგენტო „მაშავისა“ და ისრაელში საელჩოს მიერ დაფინანსებული კურსები ისრაელის მხრიდან საქართველოსთვის გამოცდილების გაზიარების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

შეგახსენებთ, რომ ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა „მაშავი“ 1958 წლიდან ფუნქციონირებს, საქართველოში კი ისრაელის საელჩოს დაარსების დღიდან მუშაობს. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, შესაძლებლობა მისცეს ქართველ სპეციალისტებს, კვალიფიკაცია აიმაღლონ ისრაელის წამყვან სასწავლო დაწესებულებებში, რათა მათი შეძენილი ცოდნა კოლეგებს გაუზიარონ, რაც ქვეყნის შენებისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

„მაშავის“ პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, სოფლის მეურნეობას, განათლებას და საზოგადოებრივ განვითარებას, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებას და ლიდერი ქალის როლს საზოგადოებაში.

„მაშავის“ კურსები 1993 წლიდან დღემდე 700-მდე ქართველ სპეციალისტს აქვს გავლილი.

# განძის რესტავრაცია

როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, თბილისის დიდ ბეით ქნესეთში მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. ეს შესაძლებელი გახდა მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენის დავით იაკობაშვილის შემწეობით. „მენორა“ დაინტერესდა, თუ როგორ მიმდინარეობს რესტავრაცია.

სინაგოგაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ გვესაუბრება ბეით ქნესეთის გაბაის მოვალეობის შემსრულებელი ფირუზ კოჩოგაშვილი.

— უკვე მესამე თვეა, რაც სინაგოგის რესტავრაცია მიმდინარეობს. ყველა სამშენებლო კომპანია ვალდებულია, სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე წარმოადგინოს გეგმა, თუ როდის რას გააკეთებს და მთელი პროცესი როდის დამთავრდება. ჩვენ გეგმის მსგავსი არაფერი გვაქვს. მოდიან და გვეუბნებიან ეს მოვრჩით და ამას ვიწყებთო. ამ დროს ჩვენ არ ვიცით თუ რა ხდება, თანხების გაკონტროლება ჩვენ არ გვეხება, რადგან ვინც სარემონტო სამუშაოებს აფინანსებს, ეს სწორედ მისი პრეროგატივაა. მაგრამ ჩვენ მაინც საქმის კურსში უნდა ვიყოთ. სარემონტო სამუშაოები დაიწყეს მესამე სართულიდან ქალების განყოფილებიდან, გამოიცვალა იატაკი, გაკეთდა პარკეტი, შეიცვალა ქალების პოდიუმი, შეიცვალა ასასვლელი კიბის მოაჯირები და ჩატარდა ფანჯრების რესტავრაცია. ახლა მიმდინარეობს კედლების რესტავრაცია. მესამე სართულზე სამუშაოები ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. ფანჯრები არ მოგვეწონა და შევაცვლევინეთ. სექტემბერში დღესასწაულებთან დაკავშირებით, სარემონტო სამუშაოები შევაჩერეთ, ორი კვირის წინ კი განვაახლეთ. უკვე ჩამოვიდნენ მეორე სართულზე და დაიწყეს ფანჯრების რესტავრაცია. ძალიან კარგი იქნება, მშენებლებს ჩვენთან უფრო ახლო კონტაქტი ჰქონდეთ. გეგმა უნდა იყოს გამოკრული, რომ არც მე და არც ჯამაათის წევრებს არ დასჭირდეთ მშენებლებთან მისვლა და კითხვა თუ რა და როდის გაკეთდება, ხალხიც საქმის კურსში უნდა იყოს. საბოლოო თანხის ჯამიც უნდა გამოიკრას, რათა გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი. ბევრს ჰგონია, რომ ამ სამუშაოებს სინაგოგა აფინანსებს, მაგრამ ასე არ არის, მთელი თანხა ამ საქმისთვის დავით იაკობაშვილმა გამოყო, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. ვაწყდებით წინააღმდეგობას: არიან ადამიანები, რომელთაც ძალიან უნდათ მამა-პაპური სტილი შეინარჩუნოთ. არც ჩვენ გვსურს რომ მამა-პაპური სტილი დავარღვიოთ, ამის ნებას არც კულტურის სამინისტრო და არც საკუთარი სინდისი მოგვცემს. მაგრამ რადგან ვაკეთებთ და ფულიც იხარჯება გვინდა კარგად გაკეთდეს. არის ნიუანსები, რომლებსაც შეიძლება გადავუხვიოთ. მაგალითად, როდესაც შაბათ დღეს ორ სეფერთორას გამოაბრძანებენ თებაზე არ ეტევა, გვინდოდა მისი გაფართოება, მაგრამ ამაზე ჯამაათის რამდენიმე წევრთან შელაპარაკება მომივიდა, მართალია მამა-პაპურია, მაგრამ ჩვენ მას სტილს არ შევუცვლით უბრალოდ გვერდიდან რამდენიმე სანტიმეტრს მივუმატებთ. ეს ხალხისთვისაც კარგი იქნება და არაფერიც დაზიანდება. სინაგოგის სამხრეთი ნაწილის იატაკმა დაიწია, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაყრდენი დალპა. როდესაც იატაკი აიყრება მშენებლები მიხვდებიან, ისევ პარკეტი დააგონ, თუ სხვა მასალით შეცვალონ. სამხრეთი კედელი მთლიანად გამოსაცვლელია. შეიძლება ძველმა არქიტექტორმა ეს ვერ გაითვალისწინა, მაგრამ უკანა კედელი, თუმანიანის ქუჩის მხრიდან, 5 მეტრითაა დაწეული, პირველი სართული თითქმის მთლიანად მიწის ქვეშაა მოქცეული. ალბათ, ამ კედლის შეკეთებაც მოხდება. მეორე სართულის გარემონტება ახლა დაიწყო, შემდეგ ჩამოვლენ პირველ სართულზე და როდესაც პირველი სართულის იატაკს აყრიან გამოჩნდება კიდევ რა არის გასაკეთებელი, რადგან არ ვიცით იატაკის ქვეშ რა ხდება. პრობლემურია სკამების საკითხი. პირველ სართულზე განლაგებული სკამები ძველია, ისინი მოიშლება და საქალებო განყოფილებაში ავიტანთ. პირველი სართულისთვის ახალი სკამის ნიმუში მოიტანეს, მაგრამ არ მოგვეწონა, რადგან სინაგოგის სტილს არ შეესაბამება. გვინდა იყოს ოთხფეხა სკამი, მლოცველისთვის მოსახერხებელი, უნდა ჰქონდეს თორის, ციციתის და თეფილინის ჩასადები. ჯამაათისგან ამ შენიშვნაზე დადებითი პასუხი მივიღეთ, სკამების ესკიზს შეცვლიან. ბატონ შოთა ბოსტანაშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ კარგი არქიტექტორი და დიზაინერია. მან წამოწია ებრაული საკულტო ნაგებობების ისტორია და მოგვაწოდა ინფორმაცია მათ შესახებ. ჯამაათმა ყველაფერი უნდა იცოდეს. სინაგოგაში ყველაფერს საინიციატივო ჯგუფი წყვეტს. ვიზიარებთ ერთმანეთის აზრს. მინდა მშენებლებთან, არქიტექტორთან შეხვედრა, რომ საერთო აზრი შევიმუშავოთ, რადგან შემდეგ როდესაც სარემონტო სამუშაოები დამთავრდება, არავინ თქვას ეს რა გაუკეთებიათო. წარმოშობით ახალციხელი ვარ და როგორც ამბობენ, ეს სალოცავიც ახალციხელების აშენებულია. უნდა გაკეთდეს ის, რაც დღევანდელობას შეესაბამება. თუ გვინდა, რომ ჩვენი სალოცავი იუნესკოს კულტურის ძეგლებს შორის მოხვდეს, თავის დროზე ისტორიული გარე ფასადი არ უნდა დაგვერღვია. მინდა რომ არ დაირღვეს სიძველის სტანდარტები, მაგრამ შიგნით ის რაც გამოსაცვლელია უნდა გამოიცვალოს. მოხატულობა რა თქმა უნდა, დარჩება. ერთმანეთის შენიშვნები ყველამ უნდა მივიღოთ, მაგალითად რატომ არ უნდა გაფართოვდეს თება, რომელზეც ოთხი კაცი ძლივს ეტევა. აქ ბევრი რამე იყო მამა-პაპური მისახედი და არ მიხედეს. მარტო სინაგოგას არ უნდა მოვლა, ჯერ ერთმანეთს უნდა მივხედოთ და გავუფრთხილდეთ. 1840 წელს გამოშვებული თორა დახეული და განადგურებული იყო, მე აღვადგინე და ახლა ვინახავთ, ასეთი თორა კიდევ 12 გვაქვს. ძალიან დიდი მადლობა დამფინანსებელ დავით იაკობაშვილს, რომელიც ამ საქმეს აკეთებს. მას ჩვენ-ჩვენი შენიშვნები ცივილიზებული ენით უნდა მივაწოდოთ.

**— პირველი სართულის იატაკის აყრის შემდეგ სად ჩატარდება ლოცვა?**

— როდესაც პირველი სართულის იატაკი აიყრება, მეორე სართული დამთავრებული იქნება. თუმცა, მეორე სართულზე ძალიან დიდი დარბაზია და რადგან ეს პერიოდი ზამთარს ემთხვევა, შეიძლება კარგად ვერ გათბეს, თუმცა ხელს ვერ შეგვიშლის, არის პატარა დარბაზიც, სადაც ლოცვის ჩატარება შეიძლება.

**საუბარი ჩაიწერა ნინო შავაძემ**

# ჩინებული წამოწყება გრძელდება

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ მაისის დამლევს — ივნისის დასაწყისში ისრაელში ჩატარდა „შოთა რუსთაველის დღეები – ქართული პოეზიის კვირეული“. ამ დღეების განმავლობაში გაიმართა ფრიად მნიშვნელოვანი შეხვედრები ისრაელელ მწერლებთან, მეცნიერებთან, სასულიერო პირებთან – ბერძნული ეკლესიის იერუსალიმის პატრიარქთან, რომელმაც ფაქტიურად განაპირობა კვირეულის უმთავრესი ღონისძიების – ჯვრის მონასტერში შ.რუსთაველის ფრესკასთან გენიალური პოეტისადმი თანამედროვე ქართველ პოეტთა თაყვანისცემა — პოეზიის საღამოს ჩატარება. ეს იყო დაუვიწყარი და ჩინებული პოეტური სერობა. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდნენ ქართულად და ებრაულად, თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ ისრაელელი პოეტები, მათს თარგმანებს ქართველი პოეტები, ხოლო ქართველ პოეტთა ებრაულ ენაზე თარგმანებს კითხულობდნენ ისრაელელი პოეტები. კვირეულის წინ გამოიცა ბილინგვური წიგნი „სულიერების ორი ქვეყანა“, წიგნში შესულია რუსთაველის პრემიის ლაურეატი ქართველი პოეტების ლექსები, მათი თარგმანი ებრაულ ენაზე, ასევე ისრაელელი პოეტების ლექსების ქართული თარგმანები.

კვირეულის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა არიელის საუნივერსიტეტო ცენტრში. ეს გახლდათ „მრგვალი მაგიდა“, რომელზეც ქართველი და ისრაელელი პოეტები, მეცნიერები განიხილავდნენ სამეცნიერო და შემოქმედებითი დაახლოების საკითხებს.

იქვე, არიელის უნივერსიტეტში გამართულ მრგვალი მაგიდის ირგვლივ დიალოგისას გადაწყდა საუბრის თბილისში გაგრძელება. რადგან, საკითხი, რომელიც დაისვა, ძალიან მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის მომავალი თანამშრომლობისათვის.

და აი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით 27 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა იუდეა-შომრონის საუნივერსიტეტო ცენტრის დელეგაცია პროფესორ **ორციონ ბართანას**, პროფესორ **რეუვენ ენოხის**, ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალ ,,ხედვა“-ს რედაქტორის, დოქტორ **ზივა ფელდმანისა** და ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორ **ოფრა ქოენის** შემადგენლობით.

არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის თბილისში ჩამოსულ დელეგაციას პირველი შეხვედრა 28 ოქტომბერს დილით ჰქონდა. დელეგაცია მიიღო ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბ-მა **იცხაკ გერბერგმა**.

იცხაკ გერბერგი დაინტერესდა დელეგაციის მისიით და მაღალი შეფასება მისცა ამ წამოწყებას. სტუმრები ინტერესდებოდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით, მათ ელჩისგან ეწადათ გაეგოთ დაპატიმრებულ ისრაელელ ბიზნესმენთა — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ნუხილი გამოთქვეს ამ მიზეზით თავჩენილ უსიამოვნებათა გამო, რადგან ისრაელში საქართველოს მეგობარ სახელმწიფოდ მიიჩნევენ.

ერთობ საქმიანი გახლდათ დელეგაციის შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში. დელეგაცია აქ მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა **სერგო ვარდოსანიძემ**. შეხვედრასა და წამოჭრილი საკითხების განხილვაში კი მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი **როინ მეტრეველი**, პროფესორი **ვახტანგ გურული**, პროფესორი **ვახტანგ სართანია** და მწერალი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი **გურამ ბათიაშვილი**. ამ შეხვედრაზე უმთავრესი გახლდათ საუნივერსიტეტო ურთიერთობის საკითხი. ამ ურთიერთობის გაღრმავებამ უნდა განაპირობოს ორი ქვეყნის კიდევ უფრო მეტად დაახლოება.

შეხვედრაზე უმთავრესად განიხილებოდა უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობის საკითხი.

დღევანდელ საქართველოს, ისევე როგორც ისრაელს, სჭირდება საკუთარი კულტურის, მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა. კულტურა, მეცნიერება გახლავთ ხალხების, ქვეყნების ურთიერთდაახლოების ყველაზე მობილური საშუალება. საქართველო კარგად იცნობს ისრაე-

ლის კლასიკურ ლიტერატურას – ძველ აღთქმას, წინასწარმეტყველთა წიგნებს და სხვ. მაგრამ თითქმის არ იცნობს თანამედროვე ისრაელის კულტურას, ხელოვნებას, პროზას, პოეზიას, მეცნიერულ აზრს. ანალოგიური მდგომარეობაა ისრაელში: ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელების მეოხებით, ისრაელი იცნობს საქართველოს ყოფით კულტურას, მაგრამ ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ისრაელმა გაიცნოს ქართული პროზა, პოეზია, თეატრი, მეცნიერული აზრი, საქართველოს ისტორია და ა.შ. ამ მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილად მიიჩნიეს უნივერსიტეტებმა სათანადო ნიჭის მქონე სტუდენტები მიავლინონ ენის შესასწავლად როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში: ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული რამდენიმე სტუდენტი სასწავლებლად გაემგზავრება იუდეა-შომრონის უნივერსიტეტში და ამ უნივერსიტეტის შემოქმედებითი ახალგაზრდობა ქართული ენის, თანამედროვე ქართული მწერლობის, კულტურის შესასწავლად ჩამოვა თბილისში.

ამის შედეგად, რამდენიმე წელიწადში ჩვენ გვეყოლება რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც იქნებიან როგორც ქართული, ასევე ისრაელური ლიტერატურის, კულტურის სპეციალისტები. საერთო შეთანხმების მიღწევას ძალიან წაადგა ბატონების: როინ მეტრეველის, სერგო ვარდოსანიძის, გურამ ბათიაშვილის, რეუვენ ენოხის, ორციონ ბართანას მოსაზრებები.

ნაშუადღევს გაიმართა შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან ბ-ნ **თამაზ გამყრელიძესთან**.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ფრიდონ თოდუა**, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, მწერალი **გურამ ბათიაშვილი**.

შეხვედრაზე განიხილებოდა სამეცნიერო კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ისრაელის მეცნიერებათა აკადემიასთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა ჯერაც არ ჩამოყალიბებულა.

დოქტორი ზივა ფელდმანი რედაქტორობს ლიტერატურულ-სამეცნიერო ხასიათის ჟურნალს, რომლის სათაური პირობითად ასე ითარგმნება „ხედვა“. რედაქციას განზრახული აქვს მომავალი წლის ერთ-ერთი ნომერი მიუძღვნას საქართველოს. ჟურნალში დაიბეჭდება სალიტერატურო-სამეცნიერო ხასიათის მასალები, რომელმაც მკითხველს წარმოდგენა უნდა შეუქმნას საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაზე.

ფრიად კონსტრუქციული წინადადებები წამოაყენეს ბატონმა თამაზ გამყრელიძემ და ბატონმა როინ მეტრეველმა, რეუვენ ენოხმა, ორციონ ბართანამ.

აკადემიის პრეზიდენტმა თ. გამყრელიძემ დელეგაციის წევრებს გადასცა წერილი ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისადმი.

28 ოქტომბერს საღამოს 17 საათზე თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში ჩატარდა პოეზიის საღამო, რომელიც ახალი წიგნის „სულიერების ორი ქვეყანა“-ს პრეზენტაციას ეძღვნებოდა. წიგნში შესულია ქართველი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტების ლექსები ქართულ და ებრაულ ენებზე. ლექსები ივრითზე ორციონ ბართანამ და რეუვენ ენოხმა თარგმნეს. აქვეა ისრაელელი პოეტების ლექსები ივრითზე და მათი ქართული თარგმანი. ლექსები თარგმნეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, მაყვალა გონაშვილმა, ბესიკ ხარანაულმა.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა**. მწერალმა **გურამ ბათიაშვილმა** ვრცლად ისაუბრა იერუსალიმში „შოთა რუსთაველის დღეების — ქართული პოეზიის კვირეულის“ ჩატარების თაობაზე. საინტერესოდ ისაუბრეს **რეუვენ ენოხმა** (ენუქაშვილმა), **რეზო მიშველაძემ**, **ლია სტურუამ**, **დავით შემოქმედელმა**, მათ აღნიშნეს ქართველ და ებრაელი ხალხის ურთიერთობაში ლიტერატურის მნიშვნელობა. **ორციონ ბართანამ** წაიკითხა გალაკტიონის, ლია სტურუას ლექსების თარგმანები, ასევე საკუთარი ლექსები. **ოფრა ქოენმა** ისაუბრა თანამედროვე პოეზიის საკითხებზე, **ზივა ფელდმანმა** კი ჟურნალის იმ ნომერზე, რომელიც ქართულ მწერლობას, მეცნიერებას მიეძღვნება. კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა** ებრაელ სტუმრებს თავისი სიმღერის ჩანაწერები აჩუქა, მხატვარმა **რეზო ადამიამ** კი ორციონ ბართანას თავისი ნახატი გადასცა.

საუნივერსიტეტო ცენტრის დელეგაციის წევრების საქართველოში ჩამოსვლით მეორე, ასევე მნიშვნელოვანი მიზანი გახლდათ საქართველოს ებრაული დასახლებების, სინაგოგების დათვალიერება. ამ მიზნით ისინი ეწვივნენ ახალციხეს, ქუთაისში შეხვდნენ პროფესორებს: **ავთანდილ ნიკოლეიშვილს** და **ომარ გვეტაძეს**, გაეცნენ ქუთაისის ისტორიულ ბეით ქნესეთს, აქ მათ განმარტებებს აძლევდა გაბაი **მოშე ბალუაშვილი**.

სტუმრები ეწვივნენ რაჭას. აქ რაჭის ებრაელობაზე, ამ კუთხის ცხოვრებაზე მათ ესაუბრა რაჭა –ლეჩხუმის გუბერნატორის მოადგილე **როსტომ ცხვედიანი**. ონის ისტორიულ ბეით ქნესეთში კი — გაბაი — **მიხ. ხანანაშვილი**.

ამბროლაურის სახალხო თეატრში კი დაესწრნენ გ. ბათიაშვილის პიესის — „ვალის“ პრემიერას.

მოგზაურობის დასასრულს ისრაელელი სტუმრები შეხვდნენ თბილისის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს — **შოთა მაღლაკელიძეს**.

*ნინო შავაძე*

# სტალინს იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ებრაელი ხალხისათვის, რომ თვით ბიბლიურ მოსესაც შეშურდებოდა

*პუბლიცისტი თემურ მირიანაშვილი გვესაუბრება სტალინისადმი წაყენებულ კიდევ ერთ ცრუ ბრალდებაზე – ანტისემიტიზმზე.*

– ბატონო თემურ, სტალინს ხშირად ჰიტლერსაც ადარებენ და ამის დასასაბუთებლად, სტალინის ანტისემიტიზმს ასახელებენ...

- ეს კიდევ ერთი ბინძური ბრალდებაა, რომელსაც სტალინის მოძულე გლობალისტები და მათი დამქაში პოლიტიკანები ამ დიდი ადამიანის გასაშავებლად მიმართავენ. როგორ შეიძლება ჰიტლერთან გააიგივონ სტალინი, რომელმაც ფაშიზმის დამარცხებით სრული განადგურებისგან იხსნა ებრაელი ხალხი?! პირდაპირ გეტყვით: სტალინს იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ებრაელი ხალხისთვის, რომ თვით ბიბლიურ მოსესაც შეშურდებოდა! სტალინი რომ ანტისემიტი და იუდოფობი არ იყო, ამას მე ფაქტებით დავადასტურებ!

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ 1905 წელს, იმხანად 25 წლის იოსებ ჯუღაშვილმა, რომელსაც თანამებრძოლები „კობას“ ფსევდონიმით მოიხსენიებდნენ, გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი ებრაელი ხალხის შესახებ. ამ წერილში, რომელიც, სხვათაშორის, სტალინის თხზულებათა პირველ ტომშია შესული, იოსებ ჯუღაშვილმა საოცარი სიყვარული გამოხატა ებრაელი ხალხისადმი. მისი პათოსი ასეთი იყო: ამ ხალხს განსაკუთრებული ზრუნვა და პატივისცემა სჭირდება, რადგან ებრაელებს განსაკუთრებით ტრაგიკული ისტორია აქვთ და მათ უსამართლოდ ჩაგრავენო!

ზოგიერთმა სოფლის შარახვეტია დედაკაცივით ჭორიკანა „მკვლევარმა“ სტალინის ეს წერილი იმით ახსნა, იოსებ ჯუღაშვილი მომავალი პოლიტიკური კარიერისთვის ემზადებოდაო! ეს ხომ სრული აბსურდია: 1905 წელს, 25 წლის „კობას“ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ 20-30 წლის შემდეგ უზარმაზარი იმპერიის მმართველი გახდებოდა?

– აბა, თქვენი აზრით, რას ეფუძნებოდა სტალინის სიმპათიები ებრაელი ხალხისადმი?

– ეს, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნებოდა სტალინისთვის დამახასიათებელ სამართლიანობას და ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან, მართლაც სამაგალითო ურთიერთობას. სტალინამდე ებრაელებისადმი თბილი დამოკიდებულება თვით დიდ ილიასაც აქვს საჯაროდ გამოხატული...

ჩვენ უნდა გავიხსენოთ ერთი რამეც: მეფის რუსეთში, რომელსაც სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძოდა სტალინი და მისი პარტია, ერთადერთი ოფიციალური ჩაგრული ერი გახლდათ ებრაელობა! ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ მიწის ყიდვა, მათ არ შეეძლოთ სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა, ებრაელებს ბარიერებს უქმნიდნენ უმაღლესი განათლების მიღებაში...

„ცივილიზებული დასავლეთისთვის“ ასე მოსაწონი ნიკოლოზ მეორის დროს, მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთში შეიქმნა შავრაზმული ორგანიზაცია – “Союз Русского Народа”. ამ ორგანიზაციის მთავარი დანიშნულება ებრაელებისათვის „პოგრომების“ მოწყობა იყო. აი, სწორედ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა გლობალისტ-ლიბერალების მიერ „ჰუმანისტად“ შერაცხილი ნიკოლოზ მეორე. ის კი არა, რუსეთის იმპერატორმა ამ შავრაზმულ ორგანიზაციაში თავისი მცირეწლოვანი შვილი, ტახტის მემკვიდრე – ალექსიც კი გააწევრიანა! სწორედ ებრაელებისადმი ასეთი შავრაზმული დამოკიდებულების ბრალი იყო, რომ მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა შორის განსაკუთრებით ებრაელები აქტიურობდნენ: ტროცკი (ბრონშტეინი), ზინოვიევი (რადომისლსკი), კამენევი (როზენფელდი), მარტოვი (ცედერბაუმი), ესერი – ევნო აზეფი და ა. შ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ებრაელებს მიენიჭათ ყველა სამოქალაქო უფლება, სტალინის მმართველობისას კი მათ წარმოუდგენელი პერსპექტივები გაეხსნათ!

მაშინ, როდესაც ჰიტლერი ებრაელებს უმოწყალოდ ხვრეტდა და ანადგურებდა, სტალინი მათ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდა!

მაშინ, როდესაც ჰიტლერი ებრაელ მეცნიერებს და კულტურის მოღვაწეებს საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობდა, სტალინი მათ პირდაპირ, სასათბურე პირობებში აცხოვრებდა!

სტალინის გარემოცვაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ძმებს კაგანოვიჩებს! მაგალითად, ლაზარ კაგანოვიჩმა – პოლიტბიუროს წევრმა – სწორედ სტალინის დავალებით ააშენა მოსკოვის მეტროპოლიტენი, რომელიც დღემდე საუკეთესოა მსოფლიოში!

სტალინის მარჯვენა ხელი იყო ლევ მეხლისი, რომელიც 25 წლის განმავლობაში გახლდათ გაზეთ „პრავდას“ მთავარი რედაქტორი! წარმოგიდგენიათ, რამხელა ნდობა იყო ეს იმ დროში?! შემდეგ სტალინმა მეხლისი საკავშირო კონტროლის სამსახურის უფროსადაც კი დანიშნა!

კიდევ ერთი დეტალი: ქართველი სტალინის მმართველობისას, დიდი სამამულო ომის დროს, ებრაელებს უფრო მეტი საბჭოთა კავშირის გმირობა მიენიჭათ, ვიდრე ქართველებს! მაგალითად, ჩვენ არ გვყავს ორგზის გმირი, ებრაელებს კი ჰყავთ – სატანკო გვარდიული დივიზიის ხელმძღვანელი, გენერალი ლევ აბრამის ძე დრაგუნსკი! ყოველივე ამის გათვალისწინებით, თუ ვინმეს სინდისი აქვს, რა პირით უნდა თქვას, რომ სტალინი ჰიტლერივით ანტისემიტი და იუდოფობი იყო?!

„ანტისემიტმა“ სტალინმა ებრაელებს საბჭოთა კავშირში შეუქმნა ავტონომიური ოლქი!...

– თუმცა, ამას იმით „ხსნიან“, რომ სტალინმა, უბრალოდ, შორეულ აღმოსავლეთში გაასახლა ებრაელებიო...

– მდინარე ამურის ნაპირთან ებრაელთა ავტონომიური ოლქისთვის ადგილი თვითონ სტალინის გარემოცვაში მყოფმა ებრაელებმა შეარჩიეს! მათ პირდაპირ უთხრეს სტალინს: ებრაელებს უსაქმურებს ეძახიან, ამიტომ უნდა შევარჩიოთ ისეთი ტერიტორია, სადაც მათ სოფლის მეურნეობის წარმოება შეეძლებათო!

– თითქოს, ებრაელებს ავტონომიისთვის ყირიმი სურდათ...

– ეს მოლოტოვის მეუღლის – ებრაული წარმოშობის კლავდია ჟემჩუჟინას იდეა გახლდათ. სტალინი არც ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ თვითონ ლაზარ კაგანოვიჩმა უთხრა სტალინს, ჩვენ რომ ებრაელებს ყირიმში მივცეთ ავტონომია, ხალხში კიდევ უფრო განმტკიცდება ანტისემიტიზმი, ხედავთ, ებრაელებმა უსაქმურობისთვის თბილი ადგილი მოითხოვესო... ისე, უნდა ითქვას, რომ ებრაელებმა შორეულ აღმოსავლეთში მართლაც სანიმუშო კოლმეურნეობები შექმნეს – მაშინდელი საბჭოთა პრესა გადაჭედილი იყო ებრაელი ტრაქტორისტებისა თუ მწველავების სურათებით!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ სტალინის დამსახურებით შეიქმნა ებრაული სახელმწიფო – ისრაელი! ბევრს „რატომღაც“ ავიწყდება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინა ბრიტანეთის კოლონია იყო და ინგლისელებს ცოცხალი თავით არ უნდოდათ დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა! რომ არა სტალინის მიზანმიმართული და პრინციპული პოლიტიკა, არც დიდი ბრიტანეთი და არც შეერთებული შტატები არ აპირებდნენ ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულებას!

მეტსაც გეტყვით: სტალინის გეგმის თანახმად, პალესტინის 28-ათას კვადრატულკილომეტრიანი ტერიტორია თანაბრად უნდა განაწილებულიყო ებრაელებს და არაბებს შორის, მაგრამ შემდეგ, ამერიკელების წაქეზებით, ებრაელებმა ზურგი აქციეს სტალინის კომპრომისულ გეგმას და მთელი არაბული სამყაროც გადაიკიდეს! ამერიკამ, ფაქტობრივად, გაწირა ებრაელი ხალხი, როდესაც 300-მილიონიან არაბულ გარემოცვაში მძევლობა მიუსაჯა! სხვათაშორის, ებრაელები დღემდე ნანობენ, სტალინის გეგმისთვის არ უნდა გადაგვეხვია და ამდენ ომსა და მსხვერპლსაც ავცდებოდითო!

ებრაელებს სტალინისთვის რომ დაეჯერებინათ, დღეს არ მოუწევდათ „მშვიდობის სანაცვლოდ ტერიტორიების დათმობის“ გეგმების შედგენა და არაბებთან გაუთავებელი მოლაპარაკებების წარმოება!

მოკლედ, ასეთი „ანტისემიტი“ იყო სტალინი – კაცი, რომელმაც ებრაელ ხალხს ორიათასწლოვანი ოცნება აუხდინა და „აღთქმულ მიწაზე“ ებრაული სახელმწიფო შეუქმნა!

*ესაუბრა*
*გიორგი გიგაური*

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №44

# საქართველოდან... საქართველოსკენ

***ცნობილი ისრაელელი ქირურგი გაბი ელაშვილი საქართველოში იმყოფებოდა, აქ იგი პროფესორ შალვა ჯაფარიძისა და პროფესორ ზურაბ ქევანიშვილის — ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. გაბი ელაშვილმა საქართველოში საჩვენებელი ოპერაციები ჩაატარა, დამსწრე ექიმებს ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა.***

***1975 წელს გაბი ელაშვილი ოჯახთან ერთად ისრაელში ავიდა. მან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ პროფესიულ დაოსტატებამდე მიეღწია, ამჟამად ისრაელში კოსმეტიკური ოპერაციების ცენტრი აქვს გახსნილი, სადაც სამკურნალოდ პაციენტები მთელი მსოფლიოდან ჩადიან.***



**გაბი ელაშვილი**: ვიზრდებოდი დაბა კულაშში, დავამთავრე საშუალო სკოლა. 1962 წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1968 წელს დავამთავრე. სანამ გამოცდებს ჩავაბარებდი, 2 წელი პათანატომიის კათედრაზე ვმუშაობდი. საღამოს სკოლა დავამთავრე და უნივერსიტეტში მოსაწყობად სამედიცინო ხაზით სტაჟის გავლა აუცილებელი იყო. ქირურგია ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა.

შემდეგ აბაშაში დავიწყე მუშაობა, რამდენიმე თვეში მივედი აკადემიკოს ხეჩინაშვილის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკაში ექვსი თვით სრული სპეციალიზაციის გავლის მიზნით, ამის შემდეგ კვლავ დავბრუნდი აბაშაში, დავიწყე ჩვეულებრივი ყელ-ყურ-ცხვირის ოპერაციების გაკეთება — რაიონში რთული ოპერაციები არ კეთდებოდა. 1972 წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსკოვში გავემგზავრე, იქაც სამი თვე დავყავი, ავითვისე ახალი მეთოდები, ახალი ქირურგიული მკურნალობა და ისევ აბაშაში დავბრუნდი. ახალი ენერგიით და ახალი გამოცდილებით კვლავ განვაახლე ოპერაციების კეთება. ძალიან დამაინტერესა ცხვირის პლასტიკურმა ოპერაციებმა და 1974 წელს ისევ თბილისს მივმართე — განთქმულ ვახტანგ ხურციძის იგივე „წოპეს“ კლინიკაში მოვეწყე, თვენახევრის მანძილზე ავითვისე ცხვირის პლასტიკა, დავბრუნდი აბაშაში და დავიწყე ცხვირის ოპერაციების ჩატარება, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით რაიონულ პირობებში ეს ოპერაცია პირველად მე გავაკეთე.

1975 წელს მთელი ოჯახით ისრაელში ავედი, ენის შესწავლის შემდეგ, მიმიღეს ექიმად ფეთახთიკვაში მდებარე იცხაკ რაბინის სახელობის ბეილისონის დიდ ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც 1976 წლიდან 1999 წლამდე ვიმუშავე. თავიდან დამწყები ექიმის თანამდებობაზე ვიყავი. უნდა გამეარა 5-წლიანი სპეციალიზაცია. სამი წლის შემდეგ ჩავაბარე წერითი გამოცდები ამერიკული მეთოდით, ასპირანტურის სპეციალიზაციის დამთავრების შემდეგ კი ჩამიტარეს სახელმწიფო გამოცდები. კომისია დაკომპლექტებული იყო პროფესორებით მედიცინის ყველა დარგში, მხოლოდ სპეციალიზაციის საკითხებს არ ამოწმებდნენ, უნდა გცოდნოდა ყველა საკითხი, რაც ექიმს შეეხება. ისრაელში მედიცინა ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული და ექიმი ყველა ხაზით ძლიერი უნდა იყოს. ყველაფერში უნდა ერკვეოდეს. ამის შემდეგ გაძლევენ დამოუკიდებელი ექიმის წოდებას, რისი მეოხებითაც საერთაშორისო ბაზარზე გასვლა და ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთება შეგიძლია. სპეციალისტის —„მუმხე“ — წოდება მივიღე, მაგრამ ჩემმა კათედრამ, სადაც აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობდა და რთული ოპერაციებიც კეთდებოდა, დამტოვა ვაკანტურ ადგილზე. ძალიან რთულია ადამიანმა დაამთავროს ასპირანტურა და სამუშაოდ ადგილზე დატოვონ, თეორიულად, პრაქტიკულად ძლიერი უნდა იყოს, ჩემში ეს ყველაფერი დაინახეს. უნდა წამეკითხა ლექციები სტუდენტებისთვის და დამწყები ექიმებისთვის დახელოვნების კურსები ჩამეტარებინა, ამასთან ერთად, პრაქტიკული ოპერაციებიც მეკეთებინა. 40 წლის ასაკში უკვე სპეციალისტის წოდება მივიღე. ძალიან რთულ ოპერაციებს ვაკეთებდი. მთელი დღის განმავლობაში ოთხ საოპერაციოში მიწევდა მუშაობა. 1984 წელს, ნეიროქირურგების დახმარებით, ერთ-ერთმა პირველმა ჩავატარე ოპერაცია თავის ტვინის დანამატზე, რომელიც ურთულესი იყო, რადგან ეს ოპერაცია თავის ქალის გახვრეტით უნდა ჩატარებულიყო, მე კი ცხვირიდან შესვლით გავაკეთე, შედეგად ოპერაციის შემდგომი პერიოდი, ძალიან მსუბუქად მიმდინარეობდა. სახელი გავითქვი, ამ ამბავს პრესაც გამოეხმაურა. სამხედრო სამსახურშიც გამიწვიეს და სამშობლოს წინაშე ეს ვალიც მოვიხადე. შემდეგ გადავწყვიტე კერძო პრაქტიკაზე გადავსულიყავი, რადგან ძალიან გადავიტვირთე, მაშინ მეუღლემ მითხრა ან სამსახური აირჩიე ან კერძო პრაქტიკაო, სამსახურის დატოვება მენანებოდა, რადგან საყვარელ საქმეს ძალიან პრესტიჟულ ადგილას ვაკეთებდი. ერთ-ერთი დიდი განყოფილების გამგე ვიყავი, მაგრამ მაინც შვებულებაში გასვლა გადავწყვიტე, რაც სამ წლამდე გაგრძელდა, ამდენ ხანს სამუშაო ადგილს არავის უნახავენ, მე კი შემინახეს, მაგრამ ჩემი დაბრუნება აღარ შეიძლებოდა: ძალიან დაკავებული ვიყავი. უკვე გახსნილი მქონდა კოსმეტიკური ოპერაციების ცენტრი, რომელმაც მსოფლიოში გაითქვა სახელი და ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ.

**— რა არის საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?**

— ექვსი წლის წინათ, ისრაელში საქართველოდან, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ქართველმა ექიმებმა დაიწყეს ჩამოსვლა. ერთ-ერთი მათგანი იყო ექიმი გოგი ბუაძე — აკადემიკოს ხეჩინაშვილის კლინიკიდან, იგი პირველი იყო, რომელიც ბეილინსონის საავადმყოფოში ჩამოვიდა.



ამ დროს მე უკვე ჩემი კლინიკა მქონდა, ექიმი ბუაძე დამეკონტაქტა და ის პერიოდი, რომელიც ბეილინსონის საავადმყოფოში უნდა გაეტარებინა, ჩემს კლინიკაში გაატარა, ჩემთან იმაღლებდა კვალიფიკაციას. როდესაც საქართველოში დაბრუნდა, მოახსენა აწ განსვენებულ სიმონ ხეჩინაშვილს, რომ მისი ყოფილი სტუდენტი ისრაელში ძალიან წარმატებული ექიმია. დამიკავშირდნენ და კონფერენციაზე მომიწვიეს, ეს იყო 2006 წელს. საქართველოში ძალიან კარგი შეხვედრა მომიწყეს, კონფერენციას 70-80 ექიმი ესწრებოდა — როგორც ჩემი თანატოლები, ასევე უმცროსებიც. აკადემიკოსმა ხეჩინაშვილმა ძალიან დიდი მადლობა გადამიხადა ვიზიტისთვის და მთხოვა, რომ საქართველოდან ჩამოსული ექიმებისთვის ჩემს კლინიკაში კვალიფიკაცია ამემაღლებინა. ასეც მოხდა. ბატონი გოგის შემდეგ ჩამოსული იყო ექიმი გოჩა მხეიძე, მანაც აითვისა ახალი მეთოდები, ოთხი წლის წინათ ისევ მომმართა ბატონმა გოგიმ, რომელსაც თან ახლდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დათო სუხიაშვილი. ჩამოსვლაზე შევთანხმდით, მივიღე ჩემს კლინიკაში, გავაცანი მეთოდები. მათ გამოაჩინეს ჩვენი პროფესიის ძალიან ღრმა ცოდნა, საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორ შეიძლებოდა ამა თუ იმ ოპერაციის უკეთესად ჩატარება. დაბრუნების შემდეგ საქართველოშიც დაიწყეს ოპერაციების გაკეთება, მუდმივად გვქონდა ურთიერთობა. საქართველოში სულ მეპატიჟებოდნენ. შემდეგ დათო სუხიაშვილი გადავიდა პროფესორ შალვა ჯაფარიძისა და პროფესორ ზურაბ ქევანიშვილის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნულ ცენტრში, სადაც მომიწვიეს და მეც სწორედ ამიტომ ჩამოვედი, რომ მენახა, თუ როგორ მდგომარეობაშია მათი ცენტრი. ჩავატარე ლექციები. ძალიან მომეწონა მათი კლინიკა, ბატონი შოთა დიდი პიროვნება და თავისი საქმის უდიდესი მცოდნეა. კლინიკაში მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული ოპერაციებიც ტარდება. ჩამოსვლის დღესვე დანიშნული იყო კონსულტაციები, იყო 50-მდე პაციენტი, სათანადო კონტინგენტი შევარჩიე და მეორე დღესვე გავაკეთე ოპერაციები. ოპერაციებს დაესწრო ყველა დაინტერესებული ექიმი. მეც ყველაფერს ნელ-ნელა ვაკეთებდი და დაწვრილებით ვუხსნიდი, თუ როგორ შეიძლებოდა საუკეთესო შედეგის მიღწევა. ჩემს ვიზიტს პრესაც გამოეხმაურა, მიმიწვიეს რადიოში. მე მაღალ დონეზე შევაფასე კლინიკის დონე. ძალიან ვაფასებ ამ ხალხს. ამ პერიოდში ყელ-ყურ-ცხვირის ასიციაციის სხდომა იყო დანიშნული, რომლის პრეზიდენტიც ზურაბ ქევანიშვილია. ამ სხდომას მეც ვესწრებოდი და ერთხმად მიმიღეს საქართველოს ყელ-ყურ-ცხვირის ასოციაციის საპატიო წევრად, რაც ჩემთვის დიდი პატივია და ამ ხალხს დიდ მადლობას მოვახსენებ.

**— რას გვეტყვით თქვენს ოჯახზე?**

— საქართველოში დავქორწინდი, მოვეწყე სამედიცინო ინსტიტუტში და ვაჟიც შემეძინა. ჩემმა მეუღლემ — ლიანამ საექთნო დაამთავრა, არ უმუშავია, რადგან ისრაელში სამ შვილთან ერთად წავედით და ოჯახს უძღვებოდა. ხელს მიწყობდა, რომ მესწავლა და გამოცდები ჩამებარებინა. შემდეგ, როდესაც სტაბილური სამუშაო მქონდა, მასაც მიეცა სწავლის საშუალება, დაამთავრა რახელ აშკენაზის სახელობის ალტერნატიული მკურნალობის კოლეჯი, შეისწავლა მრავალი თემა, არის დიეტოლოგი. ასევე არის ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ისრაელში. ეწევიან საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დაწერილი აქვს რამდენიმე წიგნი დიეტოლოგიისა და ალტერნატიული მკურნალობის შესახებ.

**— თქვენი შვილები რას საქმიანობენ?**

— ჩემი უფროსი ვაჟი სტომატოლოგი იყო, მაგრამ ბიზნესის სფერომ გაიტაცა და ახლა სწორედ ამ საქმითაა დაკავებული. უფროსი ქალიშვილი არქიტექტორია, შიდა დიზაინზე მუშაობს და საკმაოდ სერიოზული ნამუშევრები აქვს. ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა უცხო ენების ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა, ახლა ბავშვები ჰყავს და მთლიანად მათი აღზრდითაა დაკავებული.

**— გმადლობთ საუბრისთვის.**

**ესაუბრა ნინო შავაძე**

# მარკ შაგალი ისრაელში

2002 წლის სექტემბერში ისრაელში იერუსალიმის მუზეუმში თელ-ავივის ხელოვნების მუზეუმის ხელშეწყობით მოეწყო მარკ შაგალის 70-იანი წლების სურათებისა და ნახატების გამოფენა, რომლებიც ამ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ინახებოდა. გამოფენის კურატორმა სტეფანი რახუმმა ამ გამოფენისთვის ის ნამუშევრები შეარჩია, რომლებმაც შაგალი თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მხატვრად აქცია. განსაკუთრებული ყურადღება რახუმმა იმ სურათებს დაუთმო, რომლებიც ებრაულ თემასა და მხატვრის ისრაელთან კავშირს ეხება.

მარკ შაგალს თანამედროვე ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე-20 საუკუნის დასაწყისის უმნიშვნელოვანესმა მხატვრულმა სტილმა და მიმდინარეობებმა მასზე დიდი გავლენა მოახდინეს, თუმცა, შაგალის ფერწერის პოეტიკა ყოველთვის განსხვავებული იყო. მხატვარმა შეძლო ფერწერაში თავისი სული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდით გამოეხატა. მან მოშალა ზღვარი ფანტაზიასა და რეალობას შორის. მისი სურათების თემებია — ებრაული ცხოვრების სხვადასხვა მოვლენები, ებრაელთა პორტრეტები, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, ეს თემები გამოხატულია მეტაფორებით, შემოქმედებითი ფანტაზიითა და ლოგიკის კანონებით.

მიუხედავად მისი ფერწერის ფანტასტიკურობისა, შაგალი რეალისტი იყო. ბევრი პერსონაჟის გამოსახულება, ადგილი და მოვლენა მხატვარმა თავის ნახატებზე სინამდვილიდან გადაიტანა. ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებული სურათებიც კი ფერმწერის შეხედულებას გამოხატავს. შაგალის სურათებში ებრაული ფოლკლორი მის უნივერსალურ მოტივებს ერწყმის. მხატვრის ფუნჯის ენა რეალიზმს მეტაფორასთან აერთებს.

შაგალი ერეც-ისრაელს ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე სტუმრობდა და ჩვენს ქვეყანასთან კავშირს სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა. მან ისრაელში ბევრი მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო, რითიც ქვეყნის ცხოვრების ბევრ სფეროზე იქონია გავლენა. ისრაელში მის მრავალრიცხოვან მეგობრებს შორის იყვნენ მხატვრები, პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები. შაგალი ისრაელს რვაჯერ ესტუმრა და ყოველი ვიზიტის შემდეგ მისი სამეგობრო წრე უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

შაგალი ისრაელში პირველად 1931 წელს ცოლთან— ბელასთან და შვილთან— იდასთან ერთად ჩამოვიდა. სტუმრობის მიზეზი იყო პარიზელი გამომცემლის ამბრუაზ ვოლარის შეკვეთა — ბიბლიის ილუსტრირება. მხატვარი ქვეყანაში ბევრს მოგზაურობდა. ჰქმნიდა სურათებსა და ეტიუდებს

თელ-ავივში, იერუსალიმში, ცფათში. ქვეყანამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, პარიზში დაბრუნების შემდეგ კი ეს განწყობა ილუსტრაციებში გამოხატა.

შაგალი ისრაელში მეორედ 1951 წელს მისი სურათების მოძრავ გამოფენაზე ჩავიდა. 1957 წელს კი— მის მიერ ილუსტრირებული ბიბლიის გამოქვეყნების შემდეგ. შემდგომში მხატვრის ქალიშვილმა იდა შაგალ-მეიერმა ისრაელის მუზეუმს მამის 21 სურათი გადასცა საჩუქრად.

1962 წელს შაგალი ისრაელში სამედიცინო ცენტრ „ჰადასას“ ბეით ქნესეთში ჩატარებულ გამოფენას დაესწრო, მომდევნო წელს კი ქნესეთის ახალი შენობის დეკორაციების თემატიკის შესახებ მსჯელობაში მონაწილეობდა.

ბოლოს შაგალმა ისრაელი 1977 წელს 90 წლის ასაკში ორი ჯილდოს მისაღებად ჩავიდა: იგი ქალაქ იერუსალიმის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს, ხოლო ვეიცმანის ინსტიტუტში საპატიო დოქტორად აირჩიეს.

მარკ შაგალი დაიბადა და გაიზარდა ვიტებსკში, მეფის რუსეთის პროვინციულ ქალაქში, სადაც ხუთი ათასი მცხოვრებიდან ნახევარს ებრაელები შეადგენდნენ. ქალაქში სულ რამდენიმე ქვის სახლი იყო, დანარჩენი კი ხით იყო ნაგები, განსაკუთრებით კი ღარიბულ უბნებში, სადაც მომავალმა მხატვარმა ბავშვობის წლები გაატარა. მიუხედავად ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებისა, შაგალს ეს ქალაქი ყოველთვის ძალიან უყვარდა. მართალია, ცხოვრების დიდი ნაწილი ფერმწერმა საფრანგეთში გაატარა, მაგრამ ვიტებსკი მაინც არ გახდა მოგონება წარსულიდან, იგი ყოველთვის მის გულში იყო და ნახატების ფონადაც ხშირად ჩნდებოდა.

ვიტებსკთან მისი დამოკიდებულება შეიძლება მისთვის უსაფრთხოებასთან ასოცირდებოდა. თუ სხვა ადგილებში ებრაელები თავს უცხოდ გრძნობდნენ, ვიტებსკში, მიუხედავად მცირე შეზღუდვებისა, თავისუფლად შეიძლებოდა ებრაული წესით ცხოვრება. ბევრი ებრაელი განათლებული და უზრუნველყოფილი იყო. ბავშვობაში მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ებრაული დღესასწაულები, ცხოვრება, იგი ხატავდა თავის ოჯახს, სახლებს, ეკლესიებს, სინაგოგებს, ქუჩებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ახსოვდა და შემდეგ სურათებში გამოსახავდა: ებრაელები და არაებრაელები, გლეხები და რაბინები, ღარიბები და მდიდრები, პოეტები და მაწანწალები. ბავშვური მოგონებები რუსულ-ებრაული გარემოდან — აი, რა იყო მხატვრის შთაგონების უშრეტი წყარო. 30-იანი და 40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მხატვრის სამყარო განადგურების წინაშე აღმოჩნდა, იგი მას სიმბოლოების სახით ვიტებსკის ფონზე გამოსახავდა. იგი სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი რთავდა ვიტებსკის მოტივებს თავის ნამუშევრებში.

რელიგიური თემები შაგალის ადრეულ ნამუშევრებში არ ფიგურირებდა, ხოლო 1912 წლიდან იგი მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა. ყველაზე ხშირად შაგალი ხატავდა ებრაელს თორით ხელში, განმარტოებული ლოცვის დროს გამოსახული ებრაელი კი მისი მამის სახეა: შაგალი ავტოგრაფიულ წიგნში წერს: „ყოველდღე ზაფხულსა და ზამთარში, დილის 6 საათზე, მამა დგებოდა და სინაგოგაში მიდიოდა“.

1930 წელს შაგალი პარიზის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, სადაც მისი სურათები პალესტინური კულტურის პავილიონში უნდა განეთავსებინათ. მართალია, ეს გამოფენა არ შედგა, მაგრამ მხატვარს შთააგონა, რომ ებრაული კულტურის პრობლემებს დაბრუნებოდა. ამავე წელს თელ-ავივის მერი — მეირ დაზენგორფი მხატვარს პარიზში ეწვია და პალესტინაში მიიპატიჟა ფურიმის დღესასწაულზე და თელ-ავივის მუზეუმის გახსნაზე. მალევე შაგალმა ამბრუაზ ვოლარისგან ბიბლიის ილუსტრირების შეკვეთა მიიღო და მხატვარმაც მეორე წელს პალესტინაში წასვლა და ბიბლიური ადგილების მონახულება გადაწყვიტა.

1962 წლის 6 თებერვალს მოეწყო ვიტრაჟების გამოფენა სამედიცინო ცენტრ „ჰადასის“ სინაგოგაში.

შაგალი ვიტრაჟებზე 2 წელი მუშაობდა. მისმა ასისტენტმა შარლ მარკმა შუშაზე საღებავების მიმაგრების ახალ მეთოდს მიაგნო, რამაც მხატვარს საშუალება მისცა შუშის ერთ მონაკვეთზე სამი განსხვავებული ფერით ეხატა. ვიტრაჟების გამოფენისას შაგალმა თქვა: ბედნიერი ვარ იმით, რომ საკუთარი შემოქმედება ებრაელ ხალხს მივუძღვენი. მუშაობისას ყოველთვის ვგრძნობდი მშობლების მხარდაჭერას, მათ უკან კი წლების წინ დაღუპული მილიონობით ებრაელი დგას“.

1960 წელს შაგალს მაშინდელი ქნესეთის წარმომადგენელი კადიშ ლუზი შეხვდა, მან მხატვარს მშენებარე ქნესეთის მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობა შესთავაზა. მხატვარი სიამოვნებით დათანხმდა. ამ სამუშაოებში კარგად ჩანს შაგალის ებრაელი ხალხის ისტორიისადმი დამოკიდებულება.

1969 წელს ქნესეთის გახსნაზე თქვა: ამ ქვეყანაში ბევრჯერ ვყოფილვარ, ყოველი ჩამოსვლა კი მასთან უფრო და უფრო მაახლოვებდა. ახლა ჩემს სურათებთან ერთად ქნესეთში, იერუსალიმის ებრაულ პარლამენტში შევედი. ჩემი შრომა ჩადებულია მის კედლებში, მის იატაკში, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თავიდან დავიბადე.



# ვ ა ი ე რ ა

## რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

### რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

კვირის საკითხავი თავის „ვაიერა“ მთავარი მოქმედი პირია (ისევე, როგორც თავში „ლეხ ლეხა“) ჩვენი დიდი მამა აბრაამი. თორა გვიამბობს, რომ წინადაცვეთიდან სამი დღის შემდეგ, მაშინ, როცა ტკივილები ჯერ ისევ აწუხებდა, მამა აბრაამი თავისი კარვის წინ იჯდა და გამვლელებს ელოდა, რომელთაც სახლში ეპატიჟებოდა. პირველ რიგში, ეს სტუმრის დახვედრის მიცვის შესასრულებლად სჭირდებოდა და მეორეც იმისათვის, რომ მათთვის ერთიანი გამ-ნის რწმენა ჩაენერგა. ამაში ხომ მამა აბრაამი თავისი ცხოვრების ძირითად მიზანს ხედავდა — მთელს ქვეყნიერებაზე ექადაგა გამ-ნის ერთადერთობა. გამ-ნი აბრაამს მგზავრების სახით სამ ანგელოზს უგზავნის. თითოეულ მათგანს თავისი მისია აკისრია: უმკურნალონ აბრაამს წინადაცვეთის ჭრილობებზე და გადაარჩინონ ლოტი: აბრაამს შეატყობინონ, რომ მას ერთი წლის შემდეგ ვაჟი — იცხაკი შეეძინება და დაანგრიონ სოდომი. აბრაამისგან წამოსული ორი ანგელოზი სოდომის დასანგრევად და ლოტის გადასარჩენად მიემართება. სოდომის დანგრევამდე გამ-ნი აბრაამს ატყობინებს ამ გადაწყვეტილების შესახებ და აქ ჩვენ ვხედავთ განსხვავებას ნოახსა და აბრაამს შორის. აბრაამი, ნოახისაგან განსხვავებით, მთელი სამყაროს წინაშე გრძნობს პასუხისმგებლობას (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ის თვისებაა, რომელიც აბრაამმა ებრაელ ხალხს გადასცა).

აბრაამმა იცოდა, რომ სოდომის მოსახლეობა საშინლად სცოდავდა, ამიტომ გამ-ნის წინაშე მათ გადასარჩენად ლოცულობდა. სოდომში ხუთი ქალაქი იყო. „იქნებ იქ მოიძებნება 50 წმინდანი“ (ანუ თითოეულ ქალაქში 10 წმინდანი) და მათ გამო არ დაანგრევ სოდომს? იქნებ 45 ადამიანია ასეთი, ანუ 9 თითოეულ ქალაქში და შენ, გამ-ნო, იქნები მეათე“. რვა წმინდანი სოდომს უკვე ვეღარ გადაარჩენდა (ნოახის ოჯახში ხომ რვა წმინდანი იყო და მათ ვერ შეძლეს ქვეყნიერების გადარჩენა) და ამიტომ აბრაამი გამ-ნს აღარ სთხოვდა.

„და იყო, როცა გამ-ნი (სოდომის) ხეობას ანგრევდა, გაიხსენა გამ-ნმა აბრაამი და გამოიყვანა ლოტი დანგრეული ქალაქებიდან“.

რა დამსახურება ჰქონდა ლოტს აბრაამის წინაშე? ხომ რთულია იმის წარმოდგენა, რომ გამ-ნმა ის მხოლოდ აბრაამის დამსახურების გამო გადაარჩინა. მას გამ-ნის წინაშე საკუთარი დამსახურებაც უნდა ჰქონოდა.

როცა პატარა ვიყავი და სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენ გვიყვებოდნენ ისტორიას პატარა ბიჭზე, სახელად პავლიკ მოროზოვი. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ხალხს ეს ისტორია ახსოვს. პავლიკ მოროზოვი საბჭოთა პიონერი იყო. როდესაც გაიგო, რომ მის მამას პირუტყვი ჰყავს, რომელიც კოლმეურნეობას არ ჩააბარა და აქვს ფული, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას არ მისცა, ხელისუფალთ შეატყობინა. პირუტყვი და ფული, რასაკვირველია, წაართვეს, მამამისი კი დახვრიტეს. პავლიკა საბჭოთა ხელისუფლების გმირი (სიმბოლო) გახდა. მის სახელს არქმევდნენ ქარხნებს, კლუბებს, ქუჩებს. მის მაგალითზე ზრდიდნენ საბჭოთა ახალგაზრდობას და მათ შორის მეც.

ეს ისტორია ბავშვობის წლებშიც არ მომწონდა. ჩემი თავის პავლიკას ადგილზე წარმოდგენა მიძნელდებოდა. მშობლების გაცემა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, ალბათ, იმიტომ, რომ ოჯახში მასწავლიდნენ — ნებისმიერი ადამიანის, მით უმეტეს მშობლების, დასმენა არ შეიძლებოდა.

მაშ, რა დამსახურება ჰქონდა ლოტს აბრაამის წინაშე? როცა აბრაამი მეუღლე სარასა და მის ძმა ლოტთან ერთად ეგვიპტეში ჩავიდა, აბრაამმა სარას სთხოვა ეთქვა, რომ იგი მისი და იყო, რამეთუ ეშინოდა, თუ გაამხელდა რომ ისინი მეუღლეები იყვნენ, მოკლავდნენ. და იმ მომენტში, როცა სარა აბრაამზე ამბობდა, რომ ის მისი ძმა იყო, ლოტი თავის თავს ებრძოდა. მას ძალიან უნდოდა ეთქვა, რომ ეს სიმართლე არ იყო, რომ სარას ძმა თავადაა. და მაშინ? მაშინ აბრაამს მოკლავდნენ, ლოტი კი მისი ერთადერთი მემკვიდრე იქნებოდა, რადგანაც სარას და აბრაამს იმ მომენტისათვის შვილი არ ჰყავდათ. ამასთან, ფარაონისაგან სარას გამოსასყიდი მთელი თანხაც მას — ლოტს ერგებოდა.

და ამისათვის მას ტყუილის თქმაც არ დასჭირდებოდა. ის სიმართლეს იტყოდა: სარა აბრაამის მეუღლეა და ჩემი — და. და რას მოიმოქმედებდნენ შემდეგ ეგვიპტელები, უკვე მისი საქმე არ იყო. ნუ, ლოტ, სულ ცოტაც და შენ პავლიკ მოროზოვად გადაიქცევი! ეს იქნებოდა არა იდეის გამო, არამედ ფულის გამო. მაგრამ მომავალზეც ხომ საჭიროა ფიქრი, ოჯახზე, შვილებზე. ძნელია ცოლის მოყვანა, როცა არა გაქვს ფული, აქ კი ასეთი შესაძლებლობა იყო!

მაგრამ ლოტი დუმს, ის ადამიანად დარჩა, აბრაჰამი არ გასცა და ამით თავი გადაირჩინა. როცა გამ-ნი სოდომს ანგრევდა, სწორედ ლოტის ამ საქციელის გამო გამოიჩინა მოწყალება და გადაარჩინა იგი, გამოიყვანა სოდომიდან.

სოდომის განადგურების შემდეგ ამ ადგილებში მგზავრები აღარ დადიოდნენ და აბრაამმა გადაწყვიტა გრარში გადასახლებულიყო. გრარს მეფე ავიმელეხი მართავდა. აქ სარასთან დაკავშირებით იგივე სიტუაცია განმეორდა: აბრაამი ამბობს, რომ სარა მისი დაა, იგი მეფის სასახლეში გადაჰყავთ, საქმეში გამ-ნის ხელი ერევა და სარა აბრაამის სახლში დასაჩუქრებული ბრუნდება.

თუ თორას ყურადღებით ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ გრარში და ეგვიპტეში ავიმელეხთან და ფარაონთან მომხდარი ამბები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ორი მეფის ქმედებებიც სხვადასხვანაირია. ფარაონი პირუტყვივით იქცევა, ის მთლიანად საკუთარი ვნებების გავლენის ქვეშაა მოქცეული. და მაშინ — „და დაამარცხა გამ-ნმა უდიდესი მარცხებით ფარაონი და მისი ოჯახი“. ფარაონი ხვდება, რომ ეს სარას გამო დაემართა და აბრაამს უხმობს. ის მოკლედ და კონკრეტულად ეუბნება მას: „რატომ არ მითხარი, რომ ის შენი მეუღლეა, ახლა წაიყვანე და წადი ჩემი მიწა-წყლიდან“.

ავიმელეხს გამ-ნი ძილში გამოეცხადა და შეატყობინა, რომ სარა აბრაამის მეუღლეა, და თუ არ დააბრუნებს მას, მოკვდება. ავიმელეხი გამ-ნს ესაუბრება და ეუბნება, რომ არაა დამნაშავე, რადგანაც არ იცოდა, რომ სარა გათხოვილია. დილით ავიმელეხი უხმობს აბრაამს და ეკითხება, ეს რა გაგვიკეთე, რა დაგიშავეთ, რომ ასეთი დიდი ცოდვის ჩასადენად გამიმეტე, რა ნახე ჩვენში ისეთი, რომ ასე მოგვექეცი. აბრაამი პასუხობს: „დავინახე, რომ აქ გამ-ნის შიში არა გაქვთ“.

მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ ავიმელეხი ფარაონს არ ჰგავს. იგი კულტურული, თავაზიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ცდილობს დაიცვას კანონი. სტუმართმოყვარეობის კანონის მიხედვით, ფარაონისაგან განსხვავებით, ის აბრაამს თავის მიწაზე დასახლებას სთავაზობს.

და მაინც, აბრაამი ხედავს, რომ ამის უკან არაფერი დგას. რატომ ეკითხებიან მას გრარში შესვლისთანავე სარაზე? განა მგზავრებს ასეთ კითხვებს უსვამენ? მიღებულია ჰკითხოთ მათ მოშიებული ხომ არ არის, ხომ არ სწყურია, აქვს თუ არა ღამის გასათევი ადგილი. ამიტომაც პასუხობს აბრაჰამი, რომ იქ, სადაც არაა გამ-ნის წინაშე შიში, არაფერი არაა. თქვენ ხომ კანონის აშკარა დარღვევით არ წაართმევთ ქმარს ცოლს. თქვენ ამას მალულად იქმთ. ქმარს მოწამლავთ, მას საავტომობილო კატასტროფას მოუწყობთ. როცა თქვენ კანონსა და თქვენს ვნებებს შორის გექნებათ არჩევანი, ვნებებს აირჩევთ. თქვენში არსებული სიკეთე ნაკლებია თქვენშივე არსებულ ბოროტებაზე. თორისა და გამ-ნის წინაშე შიშის გარეშე თქვენ ბოროტების დაძლევის უნარი არ შეგწევთ. ამიტომ, მთელი თქვენი კულტურა, ქცევის წესების ცოდნა და ვითომცდა კანონის ზეობა არაფრად ღირს, თუ „არაა გამ-ნის წინაშე შიში“.

მეოცე საუკუნეში ხალხმა, რომელსაც განსაკუთრებულად მაღალი კულტურა ჰქონდა, ქვეყანამ, რომელმაც სამყაროს უდიდესი მეცნიერები, მუსიკოსები, მწერლები და პოეტები აჩუქა, დაამტკიცა მოშეს სიტყვების სიმართლე. გერმანულ საკონცეტრაციო ბანაკებში ფაშისტები ებრაელებს აიძულებდნენ მათთვის ლამაზი მელოდიები დაეკრათ, ისინი განცხრომით უსმენდნენ და საქმის ცოდნით აფასებდნენ ამ მუსიკას. მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი მხეცურად გაენადგურებინათ.

თორა მარადიულია. აბრაამის სიტყვები, რომ იქ, სადაც არაა გამ-ნის შიში, არაფერი არაა, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ისევე აქტუალურია, როგორც ყველაფერი, რაც თორაშია ნაბრძანები. ეს ხომ გამ-ნის სიბრძნეა.

დაე, იყოს გამ-ნის ნება, რომ ჩვენ ყველანი, შესაძლებლობის მიხედვით, ჩავწვდეთ მას.

---

# აშშ-ში ანტისემიტიზმი მკვეთრად გაიზარდა

ამერიკელების 15% ანტისემიტურადაა განწყობილი. ასეთი შედეგი მიღებულ იქნა ამერიკაში რასიზმის წინააღმდეგი ლიგის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით. ამას „Курсор“-ი იტყობინება. ლიგის შედეგების მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში ანტისემიტურმა განწყობილებამ მკვეთრად იმატა. 2009 წელთან შედარებით ანტისემიტიზმის მაჩვენებელმა აშშ-ში 3%-ით მოიმატა, ხოლო 2005-2007 წლებთან შედარებით უცვლელი დარჩა. ამ გამოკითხვების შედეგებით ამერიკელების 14% თვლის, რომ ებრაელებს ქვეყანაში ზედმეტად ბევრი ძალა აქვთ. 15% ამტკიცებს, რომ ებრაელები სხვებთან შედარებით ყველაზე ხშირად იყენებენ დამაეჭვებელ ილეთებს. 30% თვლის, რომ ებრაელები ისრაელის ერთგულნი უფრო არიან, ვიდრე აშშ-სი, 31% კი დარწმუნებულია იმაში, რომ იესო ქრისტეს სიკვდილში სწორედ ებრაელები არიან დამნაშავენი.

<u>დავუჯეროთ?</u>

# პალესტინელები ავტონომიის გაუქმების გეგმას ამზადებენ

ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც თავის ინსტიტუტებს დროთა განმავლობაში ისრაელს დაუქვემდებარებს. საუბარია გეგმაზე, რომლის რეალიზაცია მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება, თუ მოლაპარაკების პროცესი საბოლოოდ შევა ჩიხში.

გეგმის მიხედვით, ისრაელს გადაეცემა პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე, ჯანდაცვაზე და ტურიზმზე იუდეასა და სამარიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეგმას მხარი დაუჭირა „ფათხის“ ცენტრალურმა საბჭომ მაჰმუდ აბასის თხოვნით.

პალესტინური წყარო აზუსტებს, რომ საუბარია მხოლოდ გეგმაზე და არა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. პალესტინელების დაინტერესება როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ასპექტში მდგომარეობს. „ავტონომიის ინსტიტუტებში ამჟამად დაახლოებით 250 000 ჩინოვნიკი მუშაობს, აღარ არის საუბარი 50 000 უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროს თანამშრომელზე. გაუგებარია, რა ბედი ელით მათ ამ შემთხვევაში“, — აღნიშნავენ პალესტინელები. („izrus“)

# „ისლამური ჯიჰადი“ იერუსალიმთან ომის დასაწყებად მზადაა

პალესტინურმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამურმა ჯიჰადმა“ ისრაელთან ომის დაწყების შესახებ მზადყოფნა განაცხადა. როგორც „Курсор“-ი იტყობინება, ამის თაობაზე განცხადება მოძრაობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა — აბუ ახმადმა გააკეთა. მისი სიტყვებით, „ჯიჰადში“ არავის სჯერა, რომ ისრაელთან ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმება დიდხანს გაგრძელდება. ახლა დაჯგუფებაში 8 ათასი მეომარი შედის, რომლებიც მზად არიან „ცახალს“ დაუპირისპირდნენ.

# არჩევნები ევროპულ ებრაულ პარლამენტში: პროტესტი და მოხსენება წარმატების შესახებ

ევროპის ებრაულ წრეებში არ ცხრება უკმაყოფილება ევროპის ებრაელთა პარლამენტის შექმნასთან დაკავშირებით. ამ თემაზე სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ებრაული ორგანიზაციების მხრიდან რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო. წერილის ავტორები მიიჩნევენ, რომ ვადიმ რაბინოვიჩისა და იგორ კოლომოისკის ინიციატივა ევროპის ებრაელების რიგებში ბზარს შეიტანს.

ჩვენთან მოვიდა ოსლოს მთავარი რაბინის იოვა მალკიორის წერილის ასლი. წერილი მიმართულია იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისადმი, რომელიც ევროპული ებრაული პარლამენტის არჩევნებს ატარებს. ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ებრაული ოჯახის წარმომადგენელი იოვა მელკიორი კატეგორიულად მოითხოვს ევროპის პარლამენტის კანდიდატების სიიდან საკუთარი თავის ამოშლას.

„მინდა გამოვთქვა უკმაყოფილება ევროპული ებრაული კავშირისა და პარლამენტის შექმნის ინიციატივასთან დაკავშირებით. ეს ორგანიზაცია არადემოკრატიული და ევროპელი ებრაელობისთვის დამანგრეველია, მისი ნებისმიერი მხარდაჭერა კი ევროპაში მცხოვრები ებრაელების გაერთიანების საწინააღმდეგო ქმედება იქნება," — ნათქვამია წერილში. რაბინი მალკიორი დარწმუნებულია, რომ ხმის მიცემა ინტერნეტის საშუალებით და არა ადგილობრივი ებრაული ორგანიზაციების დახმარებით, ამტკიცებს ინიციატივის არასერიოზულობას. „ცვლილების მიღწევა უკვე არსებული ორგანიზაციების, პირველ რიგში კი — ის ებრაული კონგრესის დახმარებით უნდა მოხდეს", — მიიჩნევს იგი.

ნორვეგიის ებრაელობის ლიდერს უერთდება ქვეყნის პარლამენტის ექს-სპიკერი იო ბენკოვი, რომელიც ასევე აღშფოთებულია იმით, რომ მისი კანდიდატურაც მისი თანხმობის გარეშე წარადგინეს. როგორც „კანდიდატებმა" აღნიშნეს, ამ ქცევით ინიციატორები ქმნიან ილუზიას, რომ ევროპული ქვეყნების ავტორიტეტული ებრაული სათემოების ლიდერებისგან აქვთ ფართო მხარდაჭერა ევროპული ებრაული პარლამენტის შექმნასთან დაკავშირებით. განცხადების გაკეთება აუცილებლად ჩათვალეს ასევე ევროპული კავშირის ებრაული თემების ხელმძღვანელებმა ევანლაზარმა და ალექს ოსკარმა, ვისი სახელებიც თანხმობის გარეშე შეტანილ იქნა კანდიდატების სიაში. მათ მიიწვიეს სხვა ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ რომელიმემ მათი კანდიდატურა ხომ არ წამოაყენა. კავშირის ლიდერები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ინიციატორები არც კი დაინტერესდნენ თავად „კანდიდატების" აზრით. „კავშირი — დემოკრატიული, გახსნილი და გამჭვირვალე ორგანიზაციაა. თუ ეეკ-ს უნდა როლის თამაში ევროპელი ებრაელების ცხოვრებაში, მან ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს ", — განაცხადეს მათ.

ამის მიუხედავად, ეეკ-ის ვებ-გვერდზე ხმის მიცემა ორი კვირაა მიმდინარეობს. სიის ფორმირებას კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია. როგორც წერს გაზეთი — Jewish Chronicle, უნგრეთის ერთ-ერთი „წარმომადგენელი" — კანდიდატი შვიდი წლის წინ გარდაიცვალა.

გამოცემა აცხადებს, რომ დაუკავშირდა 12 კანდიდატს, რომლებიც წარმოადგენენ საფრანგეთს, რუსეთს, პოლონეთს, ჩეხეთს და გერმანიას. მხოლოდ ერთმა მათგანმა — სააგენტო Europian Jewish Press-ის ხელმძღვანელმა — იოსი ლემპკოვიცმა, განაცხადა თანხმობა თავისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

ევროპელი ებრაელობის ბევრი წარმომადგენლის აზრით, ისევე როგორც კანდიდატურების წამოყენებისა და ხმის მიცემის მეთოდები, პარლამენტის, (მასში როგორც ისრაელის ქნესეთში, 120 „დეპუტატი" უნდა იყოს) ფორმირების სისტემაც მიუღებელია.

სავარაუდოდ, ყველაზე წარმომადგენლობითი ფრანგული „ფრაქცია" გახდება. ამ ქვეყნის მოქალაქეები ეეკ-ში 11 ადგილს მიიღებენ, გერმანელი ებრაელები 8-ს. რუსეთს „ქნესეთის" 9 წევრი წარმოდგენს, უკრაინას კი — 6.

საფრანგეთის ებრაული მოსახლეობა — 483 000 ადამიანია, დიდი ბრიტანეთის — 292 000, გერმანიის — 119 000. რუსეთში 205 000 ებრაელი ცხოვრობს, უკრაინაში კი — 71 500. იტალია 28 000 ებრაელი მოსახლით წარმოდგენილი იქნება 2 პარლამენტარით, ნიდერლანდები კი, სადაც 30 000 ებრაელი მცხოვრებია — 4. ლიტვის ათი ათასიანი ებრაული სათემო ეეკ-ში ერთ დეპუტატს გაგზავნის, ისევე როგორც თურქმენეთში მცხოვრები 200 ებრაელი.

მთელ პარლამენტში წარმოდგენილი იქნება 54 ქვეყანა, მათ შორის ქვეყნები, რომლებსაც ევროპასთან არანაირი დამოკიდებულება არ აქვს, მაგალითად: უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ყირგიზეთი. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში მაროკომ და ტუნისმა ადგილები ვერ მიიღეს, „ამომრჩევლებს" სთავაზობენ ამ ქვეყნების წარმომადგენელ კანდიდატებსაც მისცენ ხმა.

ამავდროულად, ევროპული ებრაული კავშირის ხელმძღვანელობა განაგრძობს მიღწევების შესახებ საუბარს. როგორც საიტი eju.org იტყობინება, ელექტრონულ არჩევნებში მონაწილეობა 170 000 ადამიანმა მიიღო. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ისინი გააკვირვა და გაახარა ამომრჩეველთა აქტიურობამ. „ამომრჩევლების თხოვნით" ხმის მიცემის ვადა 15 დეკემბრამდე გადაწიეს. ისინი მზად არიან მოხსნან უკვე დასახელებული კანდიდატები თუ ისინი ამას მოითხოვენ.

„Izrus"

***„მენორას" მინაწერი: ევროპის ებრაელთა პარლამენტში საქართველოს ორი ადგილი გამოუყვეს. ამ ორ ადგილზე თავიანთი კანდიდატურები წარადგინეს „სოხნუთის" საქართველოს წარმომადგენლობის მუშაკმა ლევ სამოვსკიმ, პროფესორმა ესთერ თოფჩიაშვილმა, რაბინმა აჰარონ მდინარაძემ, დ. გეგეშიძემ, ე. გიგინეიშვილმა და ნ. დუბნოვმა.***

***რედაქცია წარმატებას უსურვებს ყოველ ამათგანს.***

## აჰმადინეჯადი: ისრაელმა არსებობა უნდა შეწყვიტოს

გამოცემა „ალ-აკბართან" ინტერვიუში ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „სიონისტურმა წარმონაქმნმა არსებობა უნდა შეწყვიტოს".

— შეერთებულ შტატებსა და ისრაელს ირანის არმიის საბრძოლო მოქმედებების ეშინიათ. ისლამური რესპუბლიკის ჯარი ნებას არ მისცემს თავის მტრებს ზიანი მიაყენონ ირანის ინტერესებს. ჩვენი საბრძოლო ძლევამოსილება აღემატება დანარჩენი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო პოტენციალს. ირანი განაგრძობს გაძლიერებას და შეუძლია სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ისრაელს, ასევე მთელ დასავლეთს, აშშ-ს ჩათვლით.

ირანს არ აქვს საკუთარი ბირთვული იარაღი. ამასთან ერთად, ისრაელს აქვს 300 ატომური ერთეული. ირანი დაინტერესებულია ბირთვული პროგრამის განვითარებით.

აჰმადინეჯადმა ასევე განაცხადა, რომ თეირანი დაინტერესებულია საუდის არაბეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებით, ვაშინგტონში ჯაშუშური სკანდალი საუდის არაბეთის ელჩის მკვლელობის მზადებასთან დაკავშირებით „ამერიკული სპეცსამსახურების ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამყარებას შიშობენ".

## პარიზი ანტისემიტური პლაკატებით გაავსო

პარიზი ანტისემიტური პლაკატებით გაავსეს. ერთ-ერთ კარიკატურაზე გამოსახულია მწვანე პერანგიანი „ებრაელი", რომელიც სასწორის ორ პინაზე არაბების მთელ ჯგუფსა და ერთ ებრაელ ჯარისკაცს წონის და მთელი ძალით აწვება იმ თეფშს, რომელზეც „გილად შალითი" დგას. სხვა პლაკატზე „ცახალის ჯარისკაცი" ბავშვს გულში ასობს დანას, რომლის ფორმაც რუქაზე ისრაელის სახელმწიფოს კონტურს იმეორებს. ამ პლაკატზე წარწერაა: „ბავშვი არასოდეს გაიზრდება" და „ნაძირლები ოცნებობენ. შევასრულოთ მათი სურვილები?".

საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა ანტისემიტური პლაკატების გამოჩენის შესახებ ანტისემიტიზმთან ბრძოლის საფრანგეთის ნაციონალურ ბიუროს (BNVCA) აცნობეს.

BNVCA-ის პრეზიდენტმა — სემ გოზლანმა განაცხადა, რომ პროკურატურაში უნდა იჩივლოს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ნოემბერში პარიზის მერია, ასევე ქალაქების ბულონ-ბიანკურის და ლევალუა პერეს ხელისუფლება, ებრძოდა უცნობ მაროდიორებს, რომლებმაც კედლები პლაკეტებით გაავსეს, მათზე ეწერა „ებრაული მაფია, მსხვილი საერთაშორისო მტაცებლები".

საფრანგეთის ანტისემიტზმთან ბრძოლის ნაციონალურმა ბიურომ მაშინ მოითხოვა, რომ მერიას მიეღო სასწრაფო ზომები, ქუჩებში პლაკატების გამოჩენასთან დაკავშირებით. თუ ვინ გააკრა პარიზში პლაკატები დაუდგენელია.

## ებრაელი ილან ხალევი „ფათხის" ჯგუფში შეიყვანეს

რამალაში პალესტინური მოძრაობა „ფათხის" რევოლუციონერმა მრჩეველმა ჩატარებულ სხდომაზე გადაწყვიტა მიეღო თავისი ლიდერის — მაჰმუდ აბასის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოძრაობის რიგებში „პალესტინის თავისუფლებისთვის ცნობილი მებრძოლი" ებრაელი ილან ხალევი მიიღო.

ხალევი „ფათხს" ჯერ კიდევ 1968 წელს ყოფილი პალესტინელი ლიდერის — იასირ არაფატის მმართველობის დროს შეუერთდა, მუშაობდა მის სტრუქტურებში საფრანგეთის, ლიბანის, ისრაელისა და გერმანიის ტერიტორიებზე. ასევე გამოდიოდა საერთაშორისო ურთიერთობის მინისტრის — ნაბილ შაატის მრჩეველის ამპლუაში და იყო მისი მრჩეველი პალესტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციაში.

ამჟამად ხალევი სოციალურ ინტერნაციონალში მოძრაობა „ფათხის" წარმომადგენელია, ასევე არის ამ მოძრაობის საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელობის წევრი და პალესტინის ნაციონალური საბჭოს წევრი.

ხალევი ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, არაბულ და ივრითულ ენებს. ასევე არის ამ ენებზე რამდენიმე წიგნის ავტორი. ხალევი — ჟურნალისტი, მწერალი და პოლიტიკოსი დაიბადა 1943 წელს საფრანგეთში, არის ერთ-ერთი იშვიათი ებრაელი მოღვაწე პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციაში. ხალევი ცნობილია თავისი მტრული დამოკიდებულებით სიონისტური იდეოლოგიის მიმართ და გამოირჩევა ისრაელელი მემარჯვენეების კრიტიკით. ცხოვრობს ბერლინში.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30**
**ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57**

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

**რედაქტორი**
**გურამ ბათიაშვილი**
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003